სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080192192590823

№ 2546

13 / სექტემბერი /
2023 წ.

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2023 წლის 13 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT230017300, NAT230018130, NAT230017702, NAT230018220, NAT230017279, NAT230018044, NAT230018161, NAT230017380, NAT230017303, NAT230017733, NAT230017350, NAT230017082, NAT230017365, NAT230017385, NAT230017307, NAT230017280, NAT230018050, NAT230017366 და NAT230017316 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ (NAT230017300), სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა“ (NAT230018130), სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ“ (NAT230017702), ააიპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრმა“ (NAT230018220), თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017279 და NAT230017280), სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა“ (NAT230018044), სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ“ (NAT230018161), ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017380, NAT230017365 და NAT230017366), ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017303), მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017733), ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017350), საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017082), ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017385), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ (NAT230017307), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230018050) და ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230017316) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია აუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე